



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 18.11.2021 წლის #074/19¹
გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

თამარ გეგეშიძე (სტუდენტი)

ფაქტები

საჩივრის ავტორის განმარტებით, მის მიმართ არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე ადვოკატი სათანადოდ არ ახორციელებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, არ ცდილობდა კლიენტის ინტერესების დაცვას, პირიქით, მოქმედებდა კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ და ემხრობოდა ბრალდების მხარეს. გარდა ამისა, ადვოკატი საჩივრის ავტორს აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, ემუქრებოდა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გამოკვეთვით და დასცინოდა მას, კონკრეტულად კი, იყენებდა შემდეგ ფრაზებს: „აბა შენ დაგიცავ... გიჟი ხარ, მეორე ჯგუფის ინვალიდი“; „გიჟია და სამი თვით უნდა გამოკვეთო საგიჟეთში“. ეს უკანასკნელი ფრაზა ადვოკატმა გააჟღერა პროცესზე, რამაც გამოიწვია ადვოკატის დარბაზიდან გაძევება. ადვოკატი შეურაცხყოფის მიყენებას აგრძელებდა სხდომიდან გასვლის შემდეგაც და ამბობდა: „უნარშეზღუდულმა მიჩვილაო“. ადვოკატს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია ახსნა-განმარტება.

პროცესუალური ისტორია

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას მიმართა საჩივრის ავტორმა და მოითხოვა ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

სამართლებრივი შეფასება

(1)დაარღვია თუ არა ადვოკატმა კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულება?

ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები(ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5.ა). ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა(ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5). ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები და იმოქმედოს კლიენტის ინტერესების შესაბამისად. კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულება სამოქალაქო ბრუნვის ძირეული პრინციპის-კეთილსინდისიერების კერძო გამოხატულებაა. შესაბამისად, სამართალში არსებული სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა კეთილსინდისიერების პრეზუმფცია გამოიყენება ადვოკატის პროფესიული საქმიანობის შეფასებისას. სწორედ ამიტომ, საპროცესო კოლეგია ეთიკის კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით უთითებს- საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. გარდა ამისა, ადვოკატი ვალდებულია კლიენტს გაუწიოს კვალიფიციური მომსახურეობა. საპროცესო კოლეგია ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაზე მითითებით აღნიშნავს, რომ სასურველი სამართლებრივი შედეგის მიუღწევლობა, თავისთავად, არ გულისხმობს არაკვალიფიციურ მომსახურეობას. ადვოკატის როლი მის კომპეტენტურობაშია, იგი თავად განსაზღვრავს დაცვის სტრატეგიას და როგორც წესი, იგულისხმება, რომ ადვოკატი თავად შეარჩევს მისი კლიენტისათვის მომგებიან იურიდიულ მხარეს. საქმეში არსებული მტკიცებულებებით - სისხლის სამართლის საქმის მასალებითა და სხდომის ოქმით დასტურდება, რომ ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად განახორციელა სხვადასხვა საპროცესო მოქმედება, მათ შორის, განუმარტა კლიენტს მისი უფლება-

¹ <https://gba.ge/pdf/620e293715b9b.pdf/074.19,%20ar%20aghdzvra,%2018.11.21.pdf>

მოვალეობები, მიიღო ბრალდების მხარის შესაძლო მტკიცებულებები, დააყენა რამდენიმე შუამდგომლობა კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ ადვოკატის მიერ შესრულებული საპროცესო მოქმედებები აკმაყოფილებს პროფესიული ქცევის სტანდარტ-კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ დაცვას. რაც შეეხება იურიდიული მოქმედებების განხორციელების ხარისხს, აღნიშნულის შეფასება არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში და გამოიწვევს ადვოკატის დამოუკიდებლობაში ჩარევას.

(2) დაარღვია თუ არა ადვოკატმა ნდობის პრინციპი?

კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა (ეთიკის კოდექსი, მუხლი 3). საპროცესო კოლეგია ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე აღნიშნავს, რომ ადვოკატის ვალდებულება - იმოქმედოს პროფესიული ქცევის წესებით - ემსახურება ადვოკატის პროფესიისადმი ნდობისათვის ზიანის მიყენების დაუშვებლობას. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ადვოკატმა მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, თუმცა მას არ წარმოუდგენია შესაბამისი მტკიცებულება, არც ეთიკის კომისიისათვის მიუთითებია აღნიშნული მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ. ფაქტების მტკიცების ტვირთი საჩივრის ავტორს ეკუთვნის, მან უნდა შეუქმნას კომისიას დასაბუთებული ვარაუდი, რომ სადავო მოქმედება ჩაიდინა ადვოკატმა. ამასთან, სისხლის სამართლის საქმის მასალებითა და სხდომის ოქმით არ დასტურდება ადვოკატის მიერ სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი.

დასკვნა

ადვოკატის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდება კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულების დარღვევა (ადვოკატთა შესახებ კანონი, მუხლი 5.ა; ეთიკის კოდექსი მუხლი 5), აგრეთვე ნდობის პრინციპის დარღვევა (ეთიკის კოდექსი, მუხლი 3).